გაცემის თარიღი

22.01.2021

| | |
|---|---|
| განხილვის საგანი : | ვალდებულების შესრულების დადასტურება ან/და შეზღუდვის მოხსნა |
| დაინტერესებული პირი : | რევაზ სულავა 01024080499 |
| წარმოების საფუძველი : | განცხადება №: QN1794338 |
| გასაჩივრების წესი : | გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად |
| აქტის მოქმედების ვადა : | აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე |

## სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1794338

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ“ და „ყ“ ქვეპუნქტებისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განმსაზღვრელი წესის“ შესახებ 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილების მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დადასტურდეს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2015 წლის 20 თებერვლის NE-263-14-11564 ოქმითა (ადმინისტრაციული დაპირება) და 2015 წლის 4 მარტის Nე-263-14-11564 ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუქციონის პირობის - „შეზღუდვა - დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“ შესრულება, შესაბამისად, მოიხსნას აღნიშნული შეზღუდვა ქ. თბილისში ფეიქრების ქუჩა N14-ის მიმდებარედ არსებულ 165 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.19.003.107).
2. უცვლელად დარჩეს წინამდებარე ბრძანების პირველ მუხლში მითითებული ოქმითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის - „მხოლოდ კეთილმოწყობის ფუნქციით“ შესრულების ვალდებულება.
3. წინამდებარე ბრძანება ექვემდებარება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას.
4. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული პირის მიერ, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი